ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

და

იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტის

(გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა

საერთაშორისო საწარმოთა მართვა

Managing International Enterprises

1.ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო საწარმოთა მართვა (Managing International Enterprises)

2.მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: კურსდამთავრებულს მიენიჭება მაგისტრის ორმაგი ხარისხი: იენის უნივერსიტეტის მხრიდან – მეცნიერებათა მაგისტრის ("Master of Science"), ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან – ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ("Master of Business Administration ") ხარისხი.

3. პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი;

4. **სწავლების ენა:**ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით;

5. პროგრამის მიზნები:

ერთობლივიქართულ-
გერმანულისამაგისტროპროგრამისმიზანიაბიზნესისადმინისტრირებისთეორიულიცოდნ ის,სამეცნიეროკვლევისადაშემოქმედებითიმუშაობისუნარებისმქონეევროპულიდამსოფლ იოდონისკონკურენტუნარიანისპეციალისტებისმომზადება.

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით დაძლევა;
- სპეციალობის შიდა გამოცდის წარმატებით დაძლევა, სპეციალობის გამოცდა ტარდება ეკონომიკის პრინციპებში და ესეები მენეჯმენტის საფუძვლებში. (გამოცდის ფორმაა წერითი);
- აუცილებელია გერმანული ენის ცოდნა მინიმუმ ა2 დონეზე;

7. სწავლის შედეგი:

სასწავლოკურსისდასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

დარგობრივი კომპეტენციები:

- **ცოდნა და გაცნობიერება** - სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს, კერძოდ, საერთაშორისო კომპანიების მართვის მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა, გაცნობიერებული ექნებათ პრობლემების გადაჭრის გზები;
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** -
  - კურსდამთავრებულები შეძლებენმიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, რაც გულისხმობს:
    - ორგანიზაციების ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს;
    - განსახორციელებელ ღონისძიებათა დაგეგმვასა და კონტროლს;
    - მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილების მიღებას;
    - ბაზრის მარკეტინგულ კვლევას და საბაზრო რისკების შეფასებას;

- კომპანიებში თანამდროვე კომპუტერული პროგრამების, როგორიცაა ERP-სისტემების ეფექტურად გამოყენებასდა მათ მორგებას კომპანიისთვის სპეციფიკური რესურსების დაგეგმვისა და კონტროლის თავისებურებებზე;
- კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, ამ სტრატეგიის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით და გლობალური ეკონომიკის დინამიკის გათვალისწინებით;
- ინტერდისციპლინარული პროექტების მართვა; პროექტის მიზნების ჩამოყალიბება და მათი გარდასახვა სამუშაო პაკეტებში;
- პროექტ-ჯგუფის მართვა: მოდერირება, მოტივაცია და კონტროლი.

- **დასკვნის უნარი** – კურსდამთავრებულებიგამოიმუშავებენმიღებულიინფორმაციის (მათშორისუახლესიკვლევების) დამუშავებისდაკრიტიკულიანალიზისსაფუძველზეორგანიზაციისპოტენციალისშეფასებისადაბიზნესისეფექტიანისტრატეგიებისშემუშავების, დასაბუთებულიდასკვნებისჩამოყალიბებისდაშესაბამისიგადაწყვეტილებებისმიღების, ბიზნესისმართვისსფეროშიმეცნიერულიკვლევისჩატარებისუნარს;
- **კომუნიკაციის უნარი** - კურსდამთავრებულებიგამოიმუშავებენ საერთაშორისო ბიზნეს–პარტნიორებთან კომუნიკაციის ჩვევებს; კრიტიკულ სიტუაციებში კურსდამთავრებულები შეძლებენ გუნდში საერთო გადაწყვეტილების მიღებისას პროცესის მოდერირებას;
- **სწავლის უნარი** - საერთაშორისო სამეწარმეო ურთიერთობების შესწავლით, სხვადასხვა ინფორმაციული წყაროების მოძიებითა და გამოყენებით კურსდამთავრებულები შეძლებენგააღრმავონ და გააფართოვონ საკუთარი ინტერესის სფეროები.
- **ღირებულებები** – კურსდამთავრებულები აცნობიერებენ ბიზნეს–ერთეულების მორალურ და სოციალურ პასუხისმგებლობას; საერთაშორისო ბაზრებზე ეთიკური ქცევის ზოგად ნორმებს.
-

ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები:

- **ცოდნა და გაცნობიერება** – კურსდამთავრებულებები აცნობიერებენ ბიზნესის ადმინისტრირების პრინციპების და თეორიების მნიშვნელობას საერთაშორისო მენეჯმენტის სფეროში მომუშავე მმართველ სპეციალისტთა ჩამოყალიბების პროცესში;
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** – კურსდამთავრებულები შეძლებენ მმართველობითი ხასიათის ოპერაციების განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- **დასკვნის უნარი** – პირველად და მეორად ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობით კურსდამთავრებულებსშეეძლებათ მონაცემთალოგიკური განზოგადება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და მათი პრეზენტირება;
- **კომუნიკაციის უნარი**- კურსდამთავრებულებს გამოუმუშავდებათ საერთაშორისო საწარმოს მრავალეროვნულ გარემოში კომუნიკაციის უნარი;
- **სწავლის უნარი** - კურსდამთავრებულებს შეეძლებათსაკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა;

- **ღირებულებები** – კურსდამთავრებულები აცნობიერებენ საერთაშორისო ბიზნეს–ეთიკის ღირებულებების ფასეულობას და მათი დამკვიდრების მნიშვნელობას საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლების პროცესში სტუდენტებს ჩაუტარედებათ ლექცია–სემინარები, პრაქტიკული და ჯგუფური მუშაობა. გამოყენებული იქნება სწავლების შემდეგი მეთოდები:

1. ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა;
2. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
3. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
4. დისკუსია/დებატები;
5. პრეზენტაციები;
6. დისტანციური სწავლების მეთოდი;
7. ჯგუფური (**collaborative**)მუშაობა;
8. თანამშრომლობითი (**cooperative**) სწავლება;
9. შემთხვევის ანალიზი (**Case study**);
10. გონებრივი იერიში (**Brain storming**);

9.სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სტუდენტს საგანი ჩაბარებულად ეთვლება და კრედიტი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ის აღნიშნულ საგანში დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. ცალკეული სასწავლო კურსის შეფასების კრიტერიუმები მითითებულია აღნიშნული კურსების სილაბუსებში.

ქულები	შეფასება	ნიშანი
91 - 100	ფრიადი	A
81 - 90	ძალიან კარგი	B
71 - 80	კარგი	C
61 - 70	საშუალო	D
51 - 60	დამაკმაყოფილებელი	E
41 - 50	არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება	FX
0 - 40	სრულიად არადამაკმაყოფილებელი, სტუდენტმა კრედიტის მისაღებად თავიდან უნდა გაიაროს კურსი	F

10. სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა ძირითადად ეფუძნება იენის უნივერსიტეტში ამჟამად არსებულ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმას. სწავლების 4 სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა შეძლოს 120 კრედიტის დაგროვება. თითოეულ სემესტრში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 30 კრედიტი, მაქსიმუმ 35 კრედიტი. ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების ენაა ქართული,

გერმანულენოვანი კომპონენტებით; (ამასთან, სწავლის პარალელურად თსუ–ს ეკონომიკისა დაბიზნესის ფაკულტეტი სტუდენტებს შესთავაზებს გერმანული ენის ინტენსიურ კურსებს, რომელიც ჩატარდება სწავლების 1–ლი და მე–2 სემესტრის განმავლობაში (ეს კურსები არ შედის პროგრამის სასწავლო კრედიტებში).

პროგრამით გათვალისწინებულია 70 კრედიტი პროგრამის სავალდებულო კურსები, 30 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსი და 20 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების 1–ლი და მე–2 სემესტრი ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თბილისში ჩამოვლენ უცხოეთიდან მოწვეული პროფესორები, რომლებიც ჩაატარებენ ბლოკ–ლექციების კურსს. პარალელურად ისინი იმუშავებენ ქართველ კოლეგებთან ერთად, ანუ დაინერგება ერთობლივი სწავლების (ე.წ. Team Teaching) მეთოდი. ამავე დროს სწავლების დამატებით კომპონენტად გამოყენებული იქნება ე.წ. დისტანციური სწავლების მეთოდებიც.

მე–3 სემესტრს სტუდენტები გაივლიან იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტში (გერმანია). მე–4 სემესტრი გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომისთვის. მისი მომზადება და შესრულება სტუდენტებს შეეძლებათ როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ინგლისურ ან გერმანულ ენაზე.
სამაგისტრო ნაშრომს ეყოლება ორი თანახელმძღვანელი, როგორცივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ასევე იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტიდან.
(სასწავლო გეგმა – იხ. დანართი 1).

11. პროგრამის ხელმძღვანელები:

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის გამგე სრული პროფესორი დავით ნარმანია;

იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორიანდრეასფრაიტაგი;

(პროგრამის ხელმძღვანელების CV – იხ. დანართი 2).

12. დასაქმებისსფეროები

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ იმუშაონ:

- ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებად, როგორც საქართველოსა და გერმანიაში, აგრეთვე მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებში;
- საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო არაკომერციულ ორგანიზაციებში;
- კურსდამთავრებულებს შეუძლიათ განახორციელონ სასწავლო–სამეცნიერო საქმიანობა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებსა და სასწავლო–კვლევით ცენტრებში.

13. მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული სასწავლო ინფრასტრუქტურა (ბიბლიოთეკა, ელ–ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრები და პროგრამები), სამეცნიერო კვლევის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა დამატებით უზრუნველყოფილია რიდერებით და სხვა საჭირო საინფორმაციო საშუალებებით. სამაგისტრო პროგრამას სავალდებულო ლიტერატურით უზრუნველოყოფს იენის ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტი.

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსისსტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	საკონტაქტო/ დამოუკიდ ებელი მუშაობის საათების რაოდენობა	ავტორი/ავტორები	კრედიტები სსაერთორა ოდენობა	კრედიტებისგანაწილება			
						სემესტრები			
						I	II	III	IV
პროგრამის სავალდებულო კურსები					**70**				
1	რისკ მენეჯმენტი 1	სავალდებულო	22/40	სრული პროფ. დავით ნარმანია	2,5	2.5			
2	საერთაშორისო ვაჭრობა	სავალდებულო	45/80	ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი	5	5			
3	საერთაშორისო მეწარმეობა	სავალდებულო	45/80	ასოც. პროფ. დავით სიხარულიძე	5	5			
4	საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვა 1	სავალდებულო	22/40	სრული პროფ. ელენე ხარაბაძე	2,5	2.5			
5	მონაცემთა ბაზები ბიზნესში	სავალდებულო	45/80	პროფესორი დოქტორი იოჰანეს რუჰლანდი	5	5			
6	საერთაშორისო მარკეტინგი	სავალდებულო	45/80	სრული პროფ. ნუგზარ თოდუა; ასოც. პროფ. ჩარიტა	5	5			

				ჯაში					
7	სტატისტიკური ანალიზის მეთოდები	სავალდებულო	45/80	სრული პროფ. სიმონ გელაშვილი	5	5			
8	ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მენეჯმენტი	სავალდებულო	60/65	პროფ. დოქტორი რაინჰარდ ჰაუპტი; ასოც.პროფ. ეკა ჩოხელი	5		5		
9	მენეჯმენტის ფუნქციები საერთაშორისო დივერსიფიცირებულ კომპანიებში (სდკ)	სავალდებულო	45/80	ასოც. პროფესორი გელა გრიგოლაშვილი	5		5		
10	ინოვაციების ეკონომიკა	სავალდებულო	30/95	პროფ. უვე კანტნერი	5		5		
11	საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვა2	სავალდებულო	22/40	პროფ. ხუფნერი	2,5		2,5		
12	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები	სავალდებულო	45/80	სრული პროფესორი ელენე ხარაბაძე	5		5		
13	რისკ მენეჯმენტი 2	სავალდებულო	22/40	პროფ.დოქტორ მარიო ბრანდტნერი	2,5		2,5		
	არჩევითიკურსები - თსუ								
14	საერთაშორისო მენეჯმენტი	არჩევითი	45/80	ასოც პროფ. გ. გრიგოლაშვილი	5		5		
15	მათემატიკა ეკონომისტებისათვის	არჩევითი	45/80	ასოც.პროფ.ომარ ფურთუხია.	5		5		
16	კორპორაციული სტრატეგიების ანალიზი	არჩევითი	45/80	პროფ. დოქტორი რაინჰარდ ჰაუპტი	5		5		

17	ეკონომიკური პოლიტიკაII	არჩევითი	45/80	სრული პროფესორი რევაზ გველესიანი	5		5		
18	ASQ -სემინარი (ზოგადი პროფესიული კომპეტენციები)	სავალდებულო			5			5	
19	საერთშორისო ეკონომიკის აქტუალური თემები	სავალდებულო	30/95	პროფ. ფრაიტაგი	5			5	
არჩევითიკურსები – იენის უნივერსიტეტი					**30**				
20	თავისუფალი კრედიტი*	არჩევითი			5			5	
21	თავისუფალი კრედიტი*	არჩევითი			5			5	
22	არჩევითი საკურსო ნაშრომი (ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებიდან)**	არჩევითი			5			5	
23	არჩევითი საკურსო ნაშრომი (ეკონომიკის მიმართულებიდან)***	არჩევითი			5			5	
24	თავისუფალი კრედიტი*	არჩევითი			5				5
25	არჩევითი საკურსო ნაშრომი (ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებიდან)**	არჩევითი			5				5
26	**სამაგისტრო ნაშრომი**	სავალდებულო			**20**				20
	სულ:				**120**	**30**	**30**	**30**	**30**

*სტუდენტს აქვს უფლება აირჩიოს იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებული ნებისმიერი საგანი.

**მე–3 სემესტრში, იენის უნივერსიტეტში სწავლისას სტუდენტებმა უნდა აირჩიონ და მოამზადონ ერთი საკურსო ნაშრომი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებიდან შემდეგი ვარიანტებიდან;

არჩევითი საგნები საკურსო ნამუშევრებისთვის	**ენა**	**დოცენტი**
ოპერაციათა მენეჯმენტი	ინგლისური	პროფ. ბოისენი
ფინანსები, კაპიტალის ბაზარი და რისკები	ინგლისური	პროფ. კიურსტენი
ანგარიშგება და კონტროლინგი	ინგლისური	პროფ. ჰიუფნერი
გადაწყვეტილების მიღების მეთოდები	ინგლისური	პროფ. შოლი

***მე–3 სემესტრში, იენის უნივერსიტეტში სწავლისას სტუდენტებმა უნდა აირჩიონ და მოამზადონ ასევე ერთი საკურსო ნაშრომი **ეკონომიკის მიმართულებიდან** შემდეგი ვარიანტებიდან:

არჩევითი საგნები საკურსო ნამუშევრებისთვის	**ენა**	**დოცენტი**
მეწარმეობა, ინოვაცია და რეგიონალური განვითარება	ინგლისური	პროფ. ფრიჩი
ეკონომიკური თეორია / ინოვაციების ეკონომიკა	ინგლისური	პროფ. კანტნერი
საკურსო ნაშრომი მაკროეკონომიკაში	ინგლისური	პროფ. ლორენცი
ინოვაციებისა და ეკონომიკური განვითარების ისტორია	ინგლისური	პროფ. ვალტერი